ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
MARNEULI MUNICIPALITY CITY HALL

ბრძანება:**ბ32. 32230584**

თარიღი:**27/02/2023**

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების

თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის “ე.ე“ და "ე.ვ" ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის **საფუძველზე,**

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნითსამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
ა) ჯგუფის ხელმძღვანელი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი;
ბ) ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე - მერის პირველი მოადგილე;
გ) ჯგუფის წევრები:
გ.ა) მერის მოადგილეები;
გ.ბ) სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
გ.გ) ქონების მართვისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
გ.დ) ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი ;
გ.ე) ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი;
გ.ვ) ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი;
გ.ზ) ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლები;
გ.თ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე;
გ.ი) მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.
2. დამტკიცდეს საბიუჯეტო კალენდარი დანართი 1 - ის შესაბამისად.
3. დამტკიცდეს საბიუჯეტო ორგანიზაციების და მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) მიერ მოსაწოდებელი ინფორმაციის ნუსხა დანართების № 2-10 შესაბამისად.
4. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ერთი თვის ვადაში შეადგინოს ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;

3000, ქალაქი მარნეული, რუსთაველის ქუჩა N73, ტელ: (0357) 22 33 21, (0357) 22 43 54
N73 RUSTAVELI STR. MARNEULI, E-MAIL: MUNICIPALITETI@MARNEULI.GOV.GE

5. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურს ადმინისტრაცულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასათან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია, საბიუჯეტო ორგანიზაციების და მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები) კონსულტირება და მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა.
6. ბრძანების ოფიციალურად გაცნობად ჩაითვალოს მისი ადრესატისათვის ელექტრონული ფორმით ჩაბარება.
7. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან–საბას №113), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.
9. ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

კენან ომაროვი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი